საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 6112/01
02/07/2020

6112-01-2-202007021559

შპს "ჯეოსილქროუდის" კომერციულ დირექტორს
ბატონ დავით ცირდავას
მის: თბილისი, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქ. N12

ბატონო დავით,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 22 ივნისის N9280 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" N1 ავტობაზის ტერიტორიაზე დიზელგასამართი სადგურისა და წყლის სალექარის მშენებლობის სკრინინგის განცხადებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადება ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად და ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და გარემოზე შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.

თქვენ მიერ სამინისტროში წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია:

- საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე დაცილების მანძილის შესახებ.
- ნავთობპროდუქტების მიღების, ავზებში ჩატვირთვისა და ნავთობპროდუქტების საცავების მოცულობების შესახებ, ასევე ავტოგასამართი სადგურის სამუშაო რეჟიმის შესახებ.
- წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია ავტოგასამართ სადგურში წყლის მოხმარებასა და ნარჩენი წყლების მართვის შესახებ. დაზუსტებას საჭიროებს ასევე წყლის გამწმენდი ნაგებობის გამოყენება გათვალისწინებულია თუ არა ავტოგასამართი სადგურის ჩამდინარე წყლების გასაწმენდად.
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისა და ექსპლუატაციის პროცესში შესაძლო წარმოქმნილი ნარჩენების წყაროს, მოცულობის, ტიპის და ასევე სალექარში

(ნავთობდამჭერსა და ქვიშადამჭერში) დაგროვილი შლამის მართვის საკითხის შესახებ.

- დაგეგმილი საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედებისა და საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შესახებ.
- როგორც წარმოდგენილი განცხადებიდან ირკვევა, იგეგმება N1 ავტობაზის ტერიტორიაზე არსებული ტერიტორიის გაფართოება. განახლებულ სკრინინგის ანგარიშში დაზუსტებული უნდა იყოს რეკონსტრუქციის შემდგომ ტერიტორიის ფართობი.

ამასთან, სკრინინგის განცხადება წარმოდგენილია შპს "ჯეოსილქროუდის" მიერ, ხოლო სკრინინგის დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ საქმიანობის განმახორციელებელია ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანია" გაცნობებთ, რომ "გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-7 მუხლის თანახმად, დაგეგმილ საქმიანობაზე სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობის განმახორციელებლის მიერ. შესაბამისად, N1 ავტობაზის ტერიტორიაზე დიზელგასამართი სადგურისა და წყლის სალექარის მშენებლობის სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობის განმახორციელებლის მიერ.

დამატებით გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადება და დანართები სამინისტროში წარმოდგენილი უნდა იყოს **მხოლოდ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული, სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებული საქმიანობებისათვის.** კერძოდ, II დანართის მე-3 პუნქტის 3.5 და მე-10 პუნქტის 10.6 ქვეპუნქტის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს საქმიანობის განმახორციელებლის მიერ აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით განახლებული, სრულყოფილი სკრინინგის განცხადების განმეორებით წარმოდგენის შემდგომ.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე